ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ხათუნა გრიგალაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ეკატერინე გასიტაშვილი – კოლეგიის წევრი

სანდრო ჯორბენაძე – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: თ. მ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 05.08.2014

საჩივრის რეგისტრაციის №059/14

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ თ. მ-ს მიმართ, სიითი №

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ თ. მ-სათვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2014 წლის 05 აგვისტოს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა თ. მ-მა და მოითხოვა ადვოკატ თ. მ-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, მისი ურთიერთობა ადვოკატ თ. მ-სთან დაიწყო 2013 წლის 25 მარტს გაცემული მინდობილობით, ხოლო 02 მაისს მხარეთა შორის გაფორმდა ხელშეკრულება იურიდიული მომსახურების შესახებ. საჩივრის ავტორის განმარტებით, მას მრავალი წელია სამემკვიდრეო დავა აქვს თავის ძმასთან, ო. მ-სთან. საქმეში წარმოდგენილი იყო ყალბი ადმინისტრაციულ – სამართლებრივი აქტები, კერძოდ, საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გაცემული ცნობა №-- და სამკვიდრო მოწმობა №---, რომელთა ბათილობაც უნდა მოეთხოვა ადვოკატს.

1.3 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ საქმეზე ჩატარდა ხუთი სასამართლო სხდომა და არ დაკითხულან საქმის მთავარი მოწმეები – ნოტარიუსი ი. დ., არქიტექტორი დ. გ., პ. ლ., ე. ჩ., ხ. მ. ასევე არ არის გამოყენებული ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნა, რომელშიც გადახდილი აქვს 500 (ხუთასი) ლარი და რომელიც ადვოკატის შუამდგომლობის საფუძველზე ჩატარდა. აღნიშნული დასკვნის მიხედვით, უძრავი ქონებიდან გასაყოფია 1536 კვ.მ. მიწის ნაკვეთი. აქედან 520 კვ.მ. გაფორმებულია საჩივრის ავტორის ძმის, ო. მ-ის სახელზე, დანარჩენი იყო გასაყოფი. ასევე გასაყოფი იყო საცხოვრებელი სახლის პირველი სართულის ხუთი ოთახი. ერთმა დედმამიშვილმა უარი განაცხადა მშობლების დანატოვარ ქონებაზე, ამიტომ დანაშთი ქონება უნდა გაყოფილიყო სამ ნაწილად.

1.4 საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ 2014 წლის 15 იანვარს, როდესაც სასამართლოში დანიშნული იყო მეექვსე სხდომა მის საქმესთან დაკავშირებით, მას მოუვიდა გულის შეტევა. მანდატურის სამსახურის მეშვეობით გამოიყვანეს სხდომათა დარბაზიდან და გადაიყვანეს საავადმყოფოში. თ. მ. აღნიშნავს, რომ ადვოკატმა ისარგებლა მისი ავადმყოფობით და იმის ნაცვლად, რომ მოეთხოვა სასამართლო სხდომის გადადება გონივრული ვადით, მის მეუღლეს, ც. ყ-ს მისცა არასწორი განმარტება, თითქოს მეუღლის გარდაცვალების შემთხვევაში ვეღარ მიიღებდა სამკვიდრო წილს და ხელი მოაწერინა მორიგების აქტზე, მიუხედავად იმისა, რომ იცოდა, საჩივრის ავტორი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა მორიგების აქტზე ხელის მოწერას. მორიგების შესახებ ადვოკატმა ასევე არ შეატყობინა პირველი რიგის მემკვიდრეს, საჩივრის ავტორის მესამე ძმის მეუღლეს ნ. ფ.მ-ს და მის შვილს. ეს უკანასკნელი სასამართლო სხდომებსაც ესწრებოდა, დააფიქსირა თავისი მოთხოვნა და ადვოკატმა ამისთვის დამატებით 200 (ორასი) ლარიც მოითხოვა, რაც მიიღო და მესამე პირად ჩართო იგი საქმეში.

1.5 საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ ადვოკატი თ. მ. დაინტერესებული იყო საქმის სწრაფად დასრულებით, თუმცა, მიზეზებთან დაკავშირებით მხოლოდ ვარაუდების გამოთქმა შეუძლია. ამ მორიგების შედეგად საჩივრის ავტორს მიადგა არა მხოლოდ მატერიალური, არამედ მორალური ზიანიც. ოპერაციის ხარჯებმა შეადგინა 20 000 (ოცი ათასი) ლარი, ადვოკატისათვის გადახდილმა თანხამ – 1000 (ათასი) ლარი, ხოლო ექსპერტიზისათვის გადახდილმა თანხამ – 500 (ხუთასი) ლარი.

1.6 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მხოლოდ ეთიკის კომისიაში საჩივრის წარდგენისას შეიტყო ადვოკატის სპეციალიზაციის შესახებ, კერძოდ, თ. მ. არის ადვოკატი სისხლის

სამართლის სპეციალიალიზაციით და მას არ ჰქონდა უფლება, გაეწია მისთვის საადვოკატო მომსახურება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებში.

1.7 საჩივრის ავტორი მოითხოვს ადვოკატ თ. მ-ის დაეკისროს ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა, ასევე მოითხოვს ადვოკატმა აუნაზღაუროს მას მისი მოქმედებით გამოწვეული მორალური და მატერიალური ზიანი.

1.8 22 აგვისტოს თ. მ-მა წარმოადგინა დამატებითი წერილობითი განმარტება, სადაც აზუსტებს, რომ ადვოკატთან ურთიერთობა დაიწყო 2013 წლის 25 მარტს და არა 2013 წლის 01 მაისს, როგორც ადვოკატი აცხადებს. ასევე ადვოკატს მასთან არასდროს ჰქონია საუბარი, რომ ზემდგომ ინსტანციებში ვერ შეძლებდა მისი ინტერესების წარმოდგენას.

1.9 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა თ. მ-მა არ დაკითხა არც ერთი მთავარი მოწმე, რომლის დაკითხვასაც იგი ადვოკატს ყოველი სხდომის წინ სთხოვდა.

1.10 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2014 წლის 15 იანვარს დანიშნული იყო სასამართლო სხდომა, უნდა დაკითხულიყო ხუთი მოწმე, არქიტექტორი გ., ლ., ჩ., ყ. და დ.. გულის მწვავე ინფაქტის მიუხედავად თ. მ-ის განმარტებით, მეორე დღეს ის ჩვეულებრივ აზროვნებდა, თუმცა ადვოკატი, ნაცვლად იმისა, რომ დაეყენებინა შუამდგომლობა კლიენტის გამოჯანმრთელებამდე სხდომის გადადების თაობაზე, არ დაელოდა მოვლენების განვითარებას, აიღო კლიენტის ჯანმრთელობის შესახებ ცნობა და წარადგინა სასამართლოში ისე, რომ არ უნახავს იგი პალატაში.

1.11 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა მის მეუღლეს ც. ყ-ს მას შემდეგ, რაც არასწორი განმარტებები მისცა, თავად შეადგინა მორიგების აქტი, მოაწერა ხელი და წარადგინა სასამართლოში.

1.12 2014 წლის 03 ოქტომბერს გამართულ საპროცესო კოლეგიის სხდომაზე საჩივრს ავტორის, თ. მ-ის წარმომადგენელმა, მისმა ძმისშვილმა თ. მ-მა აღნიშნა, რომ ადვოკატმა მის ოჯახს მიაწოდა ინფორმაცია, თითქოს ისინი საქმეში ჩართულნი იქნებოდნენ თ. მ-თან ერთად, როგორც მხარე, რადგან ჰქონდათ საერთო ინტერესები და ამისთვის მათგან აიღო 200 (ორასი) ლარი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მისი ძმა დაიბარეს მხოლოდ მოწმის სახით და დაუსვეს რამდენიმე შეკითხვა.

1.13 2014 წლის 06 ოქტომბერს და 20 ოქტომბერს თ. მ-მა ფოსტის მეშვეობით გამოაგზავნა ეთიკის კომისიაში დამატებითი განმარტებები, სადაც იგივე პრეტენზიები აქვს ადვოკატის მიმართ, რასაც სხვა განმარტებებში აფიქსირებს.

1.14 2014 წლის 24 ოქტომბერს თ. მ-ის წარმომადგენელმა თ. მ-მა ფოსტის მეშვეობით გამოაგზავნა მოსაზრება, სადაც იგივე პრეტენზიები აქვს ადვოკატის მიმართ, რასაც სხვა განმარტებაში აცხადებს.

2. მოწმე ც. ყ.-ის პოზიცია:

2.1 2014 წლის 30 სექტემბერს საჩივრის ავტორის მეუღლემ, მოწმე ც. ყ-მ წერილობითი განცხადებით მიმართა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას და განმარტა, რომ იგი პირველივე სხდომისას გააძევა სასამართლომ სხდომის დარბაზიდან. შესაბამისად, ადვოკატის მითითება, თითქოს მან ურჩია რწმუნებულების გაფორმება, რათა დასწრებოდა სხდომებს, სიმართლეს არ შეესაბამება. საჩივრის ავტორი უკმაყოფილებას გამოთქვამდა ადვოკატის მოქმედებების გამო. 2014 წლის 15 იანვარს ჩანიშნული იყო მეექვსე სხდომა. აღნიშნულ სხდომამდე 15 წუთით ადრე თ. მ-ს დაემართა გულის შეტევა, რის გამოც იგი გადაიყვანეს საავადმყოფოში. რამდენიმე დღის შემდეგ ადვოკატი თ. მ. მივიდა საავადმყოფოში, აიღო ცნობა კლიენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და წარადგინა სასამართლოში ისე, რომ არც მოუნახულებია საჩივრის ავტორი.

2.2 მოწმის განმარტებით, ადვოკატი მას პირადად ესაუბრა და ურჩია, დასწრებოდა საქმის განხილვას. მიუხედავად იმისა, რომ პირველი სხდომიდან საქმის დასრულებამდე გაძევებული იყო სასამართლო დარბაზიდან, ადვოკატი სთხოვდა მოსამართლეს, ც. ყ. დაეშვა პროცესზე. მოწმის განმარტებით, მან თ. მ-ს უთხრა, რომ როგორც ადვოკატმა, იცოდა საქმის თითოეული დეტალი, ამიტომ საჭირო არ იყო სხდომაზე მისი დასწრება. ადვოკატმა კი უპასუხა, რომ თუ თ. მ-ს რაიმე დაემართებოდა, იგი ვერ მიიღებდა წილს სამკვიდრო ქონებიდან.

2.3 2014 წლის 22 იანვარს ადვოკატი თ. მ. შეხვდა მოსამართლეს და ც. ყ-ს უთხრა, რომ მოსამართლემ დაუშვა პროცესზე. სხდომაზე ც. ყ-ის დასწრება გააპროტესტა მოპასუხე მხარის ადვოკატმა, მ. ქ-მ.. მოწმისათვის გაუგებარია, რაში დასჭირდა ადვოკატს მისი დასწრება.

2.4 მოწმის განმარტებით, ადვოკატ თ. მ-ს არცერთი შუამდგომლობა არ დაუყენებია, არ მოუთხოვია არც სხდომის გადადება. ადვოკატს არ გამოუყენებია იუსტიციის სახლიდან მოპოვებული უტყუარი მტკიცებულებები, ექსპერტიზის დასკვნა, არ დაუკითხავს ხუთი მთავარი მოწმე – არქიტექტორი დ. გ., საპროექტოს უფროსი პ. ლ. , გ. ჩ., მ. ყ. და ნოტარიუსი ი. დ., რომელიც მოსამართლე ი. ყ-ის მეუღლეა. ადვოკატი ასევე არ დაუკავშირდა მეორე მოსარჩელეს – ნ. ფ.მ-ს, რომელიც მონაწილეობდა საქმეში და ითხოვდა კუთვნილ წილს.

2.5 მოწმის განმარტებით, 2014 წლის 06 თებერვალს სასამართლო სხდომაზე ადვოკატმა თავად დაწერა მორიგების აქტი კლიენტის მაგივრად, თავად მოაწერა ხელი და მთელი უძრავ – მოძრავი ქონება ჩააბარა მოპასუხე მხარეს, მოსარჩელეებთან შეთანხმების გარეშე, რისი უფლებაც მას არ ჰქონდა. ადვოკატის ამ ქმედებამ გამოიწვია მ-ების ოჯახის დიდი მატერიალური და მორალური ზიანი.

3. მოწმე ნ. ფ.–მ.-ის პოზიცია:

3.1 მოწმე ნ. ფ.მ-მა, რომელიც არის საჩივრის ავტორის რძალი, წერილობითი განცხადებით მიმართა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას და განმარტა, რომ საჩხერის რაიონულ სასამართლოში მიმდინარეობდა დავა ადმინისტრაციული წესით სამკვიდრო უძრავი და მოძრავი ქონების უკანონოდ დამტკიცებისა და მისი გაუქმების შესახებ. მოსარჩელის ინტერესებს იცავდა ადვოკატი თ. მ. აღნიშნულ საქმეში ჩართული იყო

თავად ნ. ფ.მ-ც, რისთვისაც ადვოკატს დამატებით გადაუხადა 200 (ორასი) ლარი. სასამართლოს მეხუთე სხდომაზე პროცესის დაწყებამდე 15 წუთით ადრე, მოსარჩელე თ. მ-ს მოუვიდა გულის შეტევა და გადაყვანილი იქნა საავადმყოფოში. მოწმის განმარტებით, ადვოკატმა თ. მ-მა აიღო ცნობა კლიენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და ნაცვლად იმისა, რომ მოეთხოვა სხდომის გადადება, მან მოატყუა ც. ყ., რომელიც გაძევებული იყო სასამართლო სხდომის დარბაზიდან და არ ჰქონდა პროცესზე დასწრების უფლება მოსამართლეს დააშვებინა იგი სხდომაზე 2014 წლის 22 იანვარს. შემდეგი სხდომის მიმდინარეობისას – 2014 წლის 29 იანვარს, ადვოკატს არაფერი უთქვამს საქმესთან დაკავშირებით და არ დაუყენებია არანაირი შუამდგომლობა, როგორც ოქმიდან ჩანს. ხოლო 2014 წლის 06 თებერვალს მოსარჩელის მაგივრად თავად შეადგინა მორიგების აქტი, ხელი მოაწერა და მოტყუებით მოაწერინა ც. ყ-საც. რაც შეეხება ნ. ფ.მ-ს, ის საერთოდ არ უხსენებია ადვოკატს მორიგებისას. შესაბამისად, იგი არ ეთანხმება მორიგების პირობებს და მიუთითებს ადვოკატის დანაშაულებრივ ქმედებაზე.

4. ადვოკატის პოზიცია:

4.1 2014 წლის 15 აგვისტოს ადვოკატმა თ. მ-მა ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი განმარტება, რომლის მიხედვით 2013 წლის 01 მაისს მასთან მივიდნენ თ. მ. და მისი მეუღლე ც. ყ., რომლებმაც სთხოვეს საჩხერის რაიონულ სასამართლოში სამართლებრივი დახმარების გაწევა. მათ ადვოკატს განუცხადეს, რომ ედავებოდნენ საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგეობას, ჭიათურის ნოტარიუსს, საჩხერის საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსა და საჩივრის ავტორის ძმას, ო. მ-ს. იმ დროისათვის საჩივრის ავტორს სარჩელი მხოლოდ ო. მ-ის წინააღმდეგ ჰქონდა შეტანილი საჩხერის რაიონულ სასამართლოში და სხვა პირები სარჩელში მითითებული არ ჰყავდა. ადვოკატის განცხადებით, მან განუმარტა თ. მ-სა და მის მეუღლეს, რომ აღნიშნული სარჩელით მათი მოპასუხე ვერ იქნებოდა ვერც საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგეობა, ვერც ჭიათურის ნოტარიუსი და ვერც საჯარო რეესტრი. ისინი შეიძლება დაკითხულიყვნენ მხოლოდ მოწმის სახით. მოპასუხეს მათ მიერ შეტანილი სარჩელის მიხედვით წარმოადგენდა მხოლოდ ო. მ.

4.2 ადვოკატი აღნიშნავს, რომ მან საჩივრის ავტორს განუმარტა მომსახურების პირობები. ადვოკატის განცხადებით, მეორე დღეს, 2013 წლის 02 მაისს საჩივრის ავტორი მეუღლესთან ერთად კვლავ ეწვია და შეთანხმდნენ მომსახურების პირობებზე. ასევე შეთანხმდნენ, რომ გამოეთხოვათ უკვე შეტანილი სამოქალაქო სარჩელი და სასამართლოსათვის მიემართათ ადმინისტრაციული სარჩელით, სადაც მოპასუხე მხარეები იქნებოდნენ ზემოთ ჩამოთვლილი პირები. ადვოკატის განცხადებით, მან განუმარტა კლიენტს იმის შესახებაც, რომ სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების სასამართლოებში ვერ გაუწევდა საადვოკატო მომსახურებას. ამასთან, ადვოკატმა შესთავაზა კლიენტის მეუღლეს, ც. ყ-ს, გაეკეთებინა რწმუნებულება და დასწრებოდა სასამართლო სხდომებს, როგორც მეუღლის წარმომადგენელი, რაც მისცემდა საშუალებას მხარეებისთვის დაესვა შეკითხვები. რწმუნებულების გაფორმებამდე,

სასამართლომ იგი გააძევა სხდომის დარბაზიდან სასამართლოში მოქმედი ქცევის წესების დარღვევის გამო.

4.3 ადვოკატის განმარტებით, საქმის აღების დღიდან განჩინების გამოტანამდე, მას თითქმის ყოველდღიური ურთიერთობა ჰქონდა საჩივრის ავტორთან, როგორც შეხვედრით, ასევე სატელეფონო საუბრით. ადვოკატი არ ეთანხმება საჩივრის ავტორის მითითებას იმის შესახებ, რომ ადვოკატმა არ წარადგინა ექსპერტიზის დასკვნა და სხვა საჭირო მტკიცებულებები, ადვოკატს ყველა საჭირო მტკიცებულება წარდგენილი ჰქონდა სასამართლოში.

4.4 ადვოკატის განცხადებით, უსაფუძვლოა საჩივრის ავტორის განცხადება იმის შესახებ, თითქოს მის მეუღლეს - ც. ყ-ს ადვოკატმა არასწორი მისცა განმარტება სამკვიდრო წილის მიღების შესახებ. ადვოკატი აცხადებს, რომ ის ც. ყ-ს მხოლოდ საქმის შეჩერებაზე და მორიგების შესაძლო პირობებზე ესაუბრა.

4.5 ადვოკატი თ. მ. ასევე არ ეთანხმება საჩივარში დაფიქსირებულ პოზიციას საქმისადმი არაკვალიფიციური და არაკეთილსინდისიერი მიდგომის შესახებ და განმარტავს, რომ მთელი ათი თვის მანძილზე კლიენტს მის მიმართ არავითარი პრეტენზია არ ჰქონია. სააპელაციო სასამართლოში კერძო საჩივრის შეტანისას თ. მ-მა ისევ მას მიაკითხა და ერთობლივად მოამზადეს საჩივარი.

4.6 ადვოკატის განცხადებით, საქმისადმი არაკვალიფიციური მიდგომა იქნებოდა, თუ იგი გააგრძელებდა სამოქალაქო დავის წარმოებას და არ ურჩევდა კლიენტს ადმინისტრაციული სარჩელის შეტანას. რაც შეეხება საჩივრის ავტორის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, თითქოს ადვოკატი მის შეკითხვებს უპასუხოდ ტოვებდა, ადვოკატი მიუთითებს, რომ მას კომუნიკაციის პრობლემა არასდროს ჰქონია და კლიენტის ყველა შეკითხვაზე და საკითხზე აძლევდა განმარტებას.

4.7 ადვოკატი მიუთითებს, რომ თ. მ-ის საჩივარი არის უსაფუძვლო, რადგან მის მიერ არ დარღვეულა ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი.

4.8 2014 წლის 17 ოქტომბრის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა თ. მ-მა განმარტა, რომ მან ვალდებულება აიღო, თ. მ-ის საქმის წარმოება დაეწყო, ვიდრე მისი ნაცნობი ადვოკატი, ი. ხ. გაიკეთებდა ოპერაციას და შეძლებდა საქმის თავად წარმოებას. თ. მ. მასთან სწორედ ი. ხ-მ გამოაგზავნა. აქედან გამომდინარე, კლიენტმა წინასწარ იცოდა, რომ ზემდგომი ინსტანციების სასამართლოებში, საჭიროებიდან გამომდინარე, სწორედ ადვოკატი ი. ხ. დაეხმარებოდა მას და არა თ. მ.

4.9 ადვოკატის განმარტებით, თ. მ-სათვის ცნობილი იყო, რომ ის ზემდგომ ინსტანციებში ვერ გაუწევდა საადვოკატო მომსახურებას. მან საჩივრის ავტორს უარი უთხრა ასევე ჩუქების ხელშეკრულების გაუქმებასთან დაკავშირებულ საქმეზე საადვოკატო მომსახურების გაწევაზე, როდესაც მეორე მხარე ედავებოდა, ვინაიდან ის იყო იას მოყვანილი კლიენტი და ი. ხ. გააგრძელებდა მისი საქმის წარმოებას.

4.10 ადვოკატი განმარტავს, რომ თ. მ. ყველა სასამართლო სხდომაზე, როდესაც სასამართლო განუმარტავდა მხარეებს მორიგების შესაძლებლობას, საუბრობდა მორიგებაზე. ერთ-ერთი

შეთავაზებული მორიგების პირობას წარმოადგენდა თ. მ-სათვის 6000 ლარის გადახდა, რაზეც პირადად ადვოკატმა ათქმევინა უარი, რადგან ოჯახს აღარ რჩებოდა ეზო. უარი თქმა სხდომის ოქმში დაფიქსირებულია.

4.11 ადვოკატის განმარტებით, იმ დღეს, როდესაც თ. მ. ცუდად გახდა, სასამართლო სხდომა გადაიდო. ადვოკატი 2014 წლის 02 თებერვალს, 04 თებერვალს ესაუბრა თავის კლიენტს, ვინაიდან ცუდად ყოფნის მიუხედავად, იგი კარგად აზროვნება. ადვოკატის განმარტებით, როდესაც მან მიმართვა მიიტანა სასამართლოში, იგი პალატაში არ შეუშვეს. 06 თებერვალს, სასამართლო სხდომის დაწყებამდე 11:36 სთ–ზე ადვოკატი კვლავ ესაუბრა თ. მ-ს.

4.12 ადვოკატი აღნიშნავს, რომ ბოლო სასამართლო სხდომის წინა დღეს, ის ც. ყ-ს ესაუბრა ადგილის გადაზომვაზე. ვინაიდან საჩივრის ავტორი ცუდად გახდა, მოწინააღმდეგე მხარემ განმარტა, რომ შემოსავლელი გზა დაეტოვებინათ და გარკვეულწილად დათმო ის პოზიცია, რომელიც აქამდე ხელს უშლიდა მხარეთა შორის მორიგებას. შემოსავლელი ზოლის აზომვისა და ამ პოზიციის დაზუსტების მიზნით, სხდომა გადაიდო. ადვოკატმა თ. მ-ს 04 თებერვალს სატელეფონო საუბრისას განუმარტა, რომ ფართის აზომვით ნახაზს მისი მეუღლე მიუტანდა ადვოკატს და ამის მიხედვით იმოქმედებდა იგი. მხარეთა შორის მორიგება შედგა ც. ყ-ის მიერ გადაზომილი მონაცემების მიხედვით, უშუალოდ ც. ყ-სთან შეთანხმებით. საჩივრის ავტორმა ადვოკატს დაუდასტურა მისი მეუღლის მიერ მიტანილი მონაცემები.

4.13 ადვოკატის განცხადებით, მორიგება დამტკიცდა და 12 თებერვალს ჩაბარდა საჩივრის ავტორის მეუღლეს, ხოლო როდესაც საჩივრის ავტორმა მას 14 თებერვალს დაურეკა, არ გამოუთქვამს პრეტენზია მორიგების პირობების გამო. 14 მაისს საჩივრის ავტორმა ადვოკატს მიმართა მორიგების გაუქმების მოთხოვნით. როგორც ადვოკატმა მოგვიანებით შეიტყო, მ-ების ოჯახის ახლობელი, მოსამართლე ი. ყ., რომელიც გადაყვანილი იყო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში, დააბრუნეს საჩხერის რაიონულ სასამართლოში. ადვოკატმა კერძო საჩივართან დაკავშირებით საჩივრის ავტორს სამართლებრივი კონსულტაცია გაუწია და ამის შემდეგ თ. მ. პერიოდულად ურეკავდა თავის საქმესთან დაკავშირებით, ეთიკის კომისიაში საჩივრის შემოტანამდე.

5. მოწმე - ი. ხ.-ის პოზიცია:

5.1 ადვოკატმა თ. მ-მა 2014 წლის 20 ოქტომბერს წარმოადგინა ი. ხ-ის სანოტარო წესით დამოწმებული ახსნა-განმარტება, რომლის თანახმად მას სამართლებრივი დახმარების გასაწევად მიმართეს თ. მ-მა და მისმა მეუღლემ ც. ყ-მ. იმის გამო, რომ მას ჰქონდა ჯანმრთელობის პრობლემა, ბატონ თ-ს ვერ დაეხმარებოდა და მასთან კონსულტაციის საფუძველზე საჩივრის ავტორმა არჩევანი შეაჩერა ადვოკატ თ. მ-ზე.

5.2 ადვოკატ ი. ხ-ის განმარტებით, პირველი შეხვედრა საჩივრის ავტორს, ც. ყ-სა და ადვოკატ თ/მ-ს შორის მისი თანდასწრებით შედგა. ადვოკატმა თ. მ-მა მხარეებს განუმარტა, რომ მას არ ჰქონდა უფლება მონაწილეობა მიეღო სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში და მათთვის შემდგომ ინსტანციაში საადვოკატო მომსახურებას ი. ხ. გაუწევდა, რასაც მხარეები დაეთანხმნენ.

5.3 ადვოკატ ი. ხ-ის განმარტებით, საჩივრის ავტორს ადვოკატ თ. მ-სთან ურთიერთობის პერიოდში დასჭირდა სხვა სამოქალაქო საქმეზე სამართლებრივი დახმარება და ამ შემთხვევაში თავად გაუწია საადვოკატო მომსახურება საჩხერის რაიონულ სასამართლოში. სასამართლო სხდომაზე, ავდოკატთან - ი. ხ-სთან ერთად თ. მ-ის წარმომადგენლად გამოვიდა ასევე მისი მეუღლე ც. ყ., რომელსაც რწმუნებულება მისცა თ. მ-მა განუსაზღვრელი ვადით. რწმუნებულების ერთი ეგზემპლარი ც. ყ-მ წარადგინა საჩხერის რაიონულ სასამართლოში, ხოლო მეორე ეგზემპლარი მას თავად ჰქონდა შენახული; ი. ხ-ის განმარტებით, როგორც მისთვის გახდა ცნობილი თ. მ-ის მიერ ნაწარმოებ სასამართლო პროცესზე ც. ყ-მ გამოიყენა თ. მ-ის მიერ მასზე უვადოდ გაცემული და მონაწილეობა მიიღო, როგორც მ-ის წარმომადგენელმა.

II სამოტივაციო ნაწილი

6. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

6.1 ადვოკატი თ. მ. არის ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია – სისხლის სამართალი. ს.ს.ი.პ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე, არ არის გარიცხული ადვოკატთა ასოციაციიდან.

6.2 თ. მ-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2014 წლის 05 აგვისტოს.

6.3 სადაო ქმედება განხორციელდა 2013-2014 წლებში. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32–ე მუხლის მე–2 პუნქტის საფუძველზე, არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისათვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

7. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ თ. მ-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების“ 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

8. სამართლებრივი შეფასება:

8.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: არ დაკითხულან საქმის მთავარი მოწმეები, რომლის დაკითხვასაც საჩივრის ავტორი ადვოკატს ყოველი სხდომის წინ სთხოვდა; ადვოკატმა არ გამოიყენა ექსპერტიზის დასკვნა; ადვოკატმა ისარგებლა მისი ავადმყოფობით და იმის ნაცვლად, რომ მოეთხოვა სასამართლო სხდომის გადადება გონივრული ვადით, მის მეუღლეს, ც. ყ-ს მისცა არასწორი განმარტება, თითქოს მეუღლის

გარდაცვალების შემთხვევაში ვეღარ მიიღებდა სამკვიდრო წილს და ხელი მოაწერინა მორიგების აქტზე; ადვოკატმა მორიგების შესახებ არ შეატყობინა პირველი რიგის მემკვიდრეს, საჩივრის ავტორის მესამე ძმის მეუღლეს ნ. ფ.მ-ს და მის შვილს.

8.2 ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატ თ. მ-ის მიერ ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

8.2.1 ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი: ,,ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან."

8.2.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი: ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა განახორციელოს წარმომადგენლობა."

8.2.3 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8 მუხლის მე–6 ნაწილი: ,,ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ."

8.3 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატი ვალდებულია საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებისა და მინიჭებული რწმუნების საფუძველზე იმოქმედოს კლიენტის ინტერესების დასაცავად და უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოქმედებების კეთილსინდისიერად შესრულება.

8.4 ეთიკის კომისიის 2010 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, საქმე №066/10 კომისიამ დაადგინა, რომ „საადვოკატო საქმიანობა, ადვოკატის მოვალეობები და კლიენტის ინტერესების დაცვა (,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მუხლი – 2,5,6.) არ მოიცავს მხოლოდ კლიენტის ფორმალურ წარმომადგენლობას სასამართლოში, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე ადვოკატი ვალდებულია გამოიყენოს მის დასაცავად ყველა საშუალება, რაც არ არის აკრძალული კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით."

8.5 2013 წლის 25 მარტს ადვოკატს საჩივრის ავტორმა - თ. მ-მა მისცა მინდობილობა (სანოტარო აქტი N---), ხოლო 2013 წლის 02 მაისს მხარეთა შორის დაიდო სამართლებრივი მომსახურების გაწევის თაობაზე ხელშეკრულება. მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორმა ადვოკატ თ. მ-ს მიმართა ადმინისტრაციულ საქმესთან დაკავშირებით. საქმეში არსებული 2013 წლის ხელშეკრულებისა და 2013 წლის 25 მარტის მინდობილობის საფუძველზე, ადვოკატმა თ. მ-მა შეადგინა სარჩელი (2013 წლის 02 მაისის სარჩელი ადმინისტრაციულ საქმეზე, მხარეები: მოსარჩელე - თ. მ., მოპასუხეები: ო. მ., ჭიათურის ნოტარიუსი ზ. ც., საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო საჩხერის რაიონში, საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგეობა, დავის საგანი: საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2010 წლის 06 მაისს გაცემული ცნობა N209-ის ბათილად ცნობა და მის საფუძველზე ჭიათურის ნოტარიუსის მიერ გაცემული სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობა).

8.6 ადვოკატი წარმოადგენდა თ. მ-ის ინტერესებს 2013 წლის 12 ივნისს სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე, სადაც ადვოკატმა თ. მ-მა დააყენა შუამდგომლობა დამატებითი მტკიცებულებების წარდგენასთან დაკავშირებით, ასევე მოწმეთა სახით შემდეგი პირების დაკითხვის თაობაზე: ი. ა., ნ. მ., თ. ც., ი. მ., კ. ქ., ხ. მ., ე. ჩ., ა. ც., გ. ნ., მ. ყ., ნ. ო. და ლ. ყ.. ადვოკატის განმარტებით, აღნიშნული მოწმეები დაადასტურებდნენ იმ ფაქტს, რომ თ. მ. მამის გარდაცვალების შემდეგ ფლობდა მის წილ ქონებას, მიწის ნაკვეთს, სადაც განთავსებულია ნარგავები. ადვოკატ თ. მ-ის შუამდგომლობას მხარი დაუჭირა მოსარჩელე თ. მ-მა. ადვოკატის შუამდგომლობები დაკმაყოფილდა.

8.7 ადვოკატი თ. მ-ს წარმოადგენა 2013 წლის 03 ივლისის სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე და 2013 წლის 17 ივლისის სასამართლოს მთავარ სხდომაზე. საქმეში წარმოდგენილია შუამდგომლობა სადაო ქონების ადგილზე დათვალიერების თაობაზე, მეორე შუამდგომლობა ადგილზე დათვალიერებაში სპეციალისტების სახით გ. ნ-ისა და ხ. მ-ის ჩართვის თაობაზე, ვინაიდან უშუალოდ მათ მიერ იყო შედგენილი აზომვითი ნახაზები. შუამდგომლობებს ხელს აწერენ როგორც ადვოკატი, ასევე თ. მ.

8.8 ადვოკატი მონაწილეობდა 2013 წლის 31 ივლისს სასამართლოს მთავარ სხდომაში. საქმეში წარმოდგენილია 2013 წლის 09 სექტემბრის ადგილზე დათვალიერების ოქმი, რომლის თანახმადაც ადგილზე დათვალიერებაში მონაწილეობდნენ საჩივრის ავტორი - თ. მ., წარმომადგენელი - თ. მ., მოპასუხე და სპეციალისტი. მხარეთა შორის კონფლიქტური მდგომარეობის შექმნის გამო ადგილზე დათვალიერება ვერ შედგა.

8.9 საქმეში წარმოდგენილია საინჟინრო ტექნიკური ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე შუამდგომლობა, რომელსაც ხელს აწერს მხოლოდ ადვოკატი. ადვოკატი წარმოადგენს საჩივრის ავტორს 2013 წლის 11 სექტემბრის სასამართლოს მთავარ სხდომაზე. 2013 წლის 11 სექტემბრის განჩინებით დაინიშნა ექსპერტიზა და საქმის წარმოება შეჩერდა. საქმეში წარმოდგენილია 2013 წლის 23 დეკემბრის ექსპერტიზის დასკვნა.

8.10 2014 წლის 15 იანვრის სასამართლო მთავარ სხდომა, ადვოკატის შუამდგომლობის საფუძველზე, მისი კლიენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გადაიდო. ადვოკატმა 22 იანვარს სასამართლოს მიმართა წერილობითი შუამდგომლობით და ითხოვა კლიენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით სხდომაზე დაეშვათ სხდომიდან გაძევებული პირი - თ. მ-ის მეუღლე, ც. ყ. ამავე სხდომაზე ადვოკატის შუამდგომლობის საფუძველზე მოწვეული მოწმეები: გ. ა. , გ. ნ. დაიკითხნენ მოწმეების სახით.

8.11 2013 წლის 22 იანვარს ადვოკატი წარმოადგენს თ. მ-ის ინტერესებს, ხოლო სხდომას ასევე ესწრება ც. ყ. 2014 წლის 29 იანვარს სასამართლოს მთავარ სხდომაზე ადვოკატი წარმოადგენს საჩივრის ავტორს. ამავე სხდომაზე მოწმის სახით დაიკითხა ი. ყ. 2014 წლის 06 თებერვალს საჩივრის ავტორს წარმოადგენენ თ. მ. და ც. ყ. (2013 წლის 23 სექტემბრის მინდობილობა ც. ყ-ის სახელზე, N). 2014 წლის 06 თებერვალს შედგა მორიგების აქტი, მორიგების აქტს ხელს აწერენ ადვოკატი და საჩივრის ავტორის მეუღლე ც. ყ., 2014 წლის 06 თებერვალს სასამართლომ მიიღო განჩინება მხარეთა მორიგების გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.

8.12 ადვოკატის ვალდებულებას წარმოადგენს მინიჭებული რწმუნებულების საფუძველზე და კლიენტთან შეთანხმებული წესით განახორციელოს შესაბამისი საადვოკატო მომსახურება, რადგან საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება თავისი არსით კვალიფიციური მომსახურების გაწევასა და კლიენტის ინტერესების სათანადოდ დაცვას გულისხმობს, რაც მოცემულ შემთხვევაში ადვოკატმა თ. მ-მა შეასრულა.

8.13 საპროცესო კოლეგია ადვოკატის მიერ საჩივრის ავტორის მოთხოვნის შეუსრულებლობასთან დაკავშირებით გარკვეულ პირთა გამოკითხვის შესახებ შუამდგომლობის დაყენების თაობაზე ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ როგორც სასამართლოს სხდომის ოქმებიდან ჩანს, 2014 წლის 15 იანვრამდე საჩივრის ავტორი - თ. მ. ესწრება ყველა სასამართლო სხდომას და მხარს უჭერს ადვოკატის მიერ დაყენებულ შუამდგომლობებს. 2013 წლის 12 ივნისს სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე ადვოკატმა თ. მ-მა დააყენა შუამდგომლობა დამატებითი მტკიცებულებების წარდგენასთან დაკავშირებით, ასევე მოწმეთა სახით გარკვეულ პირთა დაკითხვის თაობაზე, რაც დაკმაყოფილდა სასამართლოს მიერ და მომდევნო სხდომებზე ადვოკატის შუამდგომლობის საფუძველზე მოწვეულმა რამდენიმე მოწმემ მისცა სასამართლოს განმარტება.

8.14 საჩივრის ავტორს პრეტენზის შესახებ, რაც ეხება ადვოკატის მიერ დაყენებულ შუამდგომლობათა, გაწეული კონსულტაციების თუ საპროცესო მოქმედებათა მართებულობას, კერძოდ ექსპერტიზის დასკვნის გამოუყენებლობასთან დაკავშირებით, ეთიკის კომისია განმარტავს, რომ მის კომპეტენციაში არ შედის და, შესაბამისად, ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგია ვერ იმსჯელებს, რამდენად სწორი სტრატეგია აირჩია ადვოკატმა თ. მ-მა კლიენტის ადმინისტრაციული საქმის წარმოებისას. ასევე, ეთიკის კომისია ვერ შეაფასებს მტკიცებულებათა გამოკვლევისას რომელი მტკიცებულებები უნდა გაეხადა ადვოკატს სადაოდ, ასეთი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში. ეთიკის კომისია მხედველობაში იღებს, რომ ადვოკატის ქმედებები სარჩელის შეტანიდან საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, მიზნად ისახავდა კლიენტის ინტერესების დაცვას და ადვოკატი თ. მ., წარმოდგენილი მტკიცებულებებით (სასამართლო ადმინისტრაციული საქმე 2 ტომად) დგინდება, საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით ახორციელებდა კლიენტის წარმომადგენლობას.

8.15 ეთიკის კომისიამ 2010 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილებით /დისციპლინური საქმე №026/10/ დაადგინა, რომ: ,,მის კომპეტენციაში არ შედის ადვოკატის მიერ განხორციელებული საპროცესო ქმედებების და ტაქტიკის არსებითი სამართლებრივი შეფასება, მათ შორის, ეთიკის კომისია ვერ შეაფასებს, თუ რამდენად საფუძვლიანი იყო ადვოკატის მიერ პროცესზე წარმოთქმული სიტყვა ან მომზადებული დოკუმენტი, თუმცა კვალიფიციურ და კეთილსინდისიერად განხორციელებულ წარმომადგენლობად არ ჩაითვლება, თუ ადვოკატი არ ემზადება პროცესისთვის ან საერთოდ არ ცხადდება პროცესზე, ასევე არ ასრულებს კლიენტის მითითებებს, თუ არ არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი ამ მითითებების შეუსრულებლობისა, რაც პირველ რიგში შეიძლება გამოიხატებოდეს კლიენტის სამართლებრივი პოზიციის ზიანში, თუმცა აქაც ძირითად გადაწყვეტილებას კერძო

ავტონომიის ფარგლებში იღებს კლიენტი ადვოკატისაგან მიღებული კვალიფიციური რჩევის შემდეგ.“

8.16 ეთიკის კომისია გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნო მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2002 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვით (განაცხადი №C-309/99; J.C.J. Wounters and others vs Algemene Raad van de Nederlandse Orde van Advocaten): ,,ადვოკატთა ასოციაციას არ შეუძლია დაადგინოს წესები ადვოკატებისათვის, რომელიც მათ მიერ გაწეული სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი რჩევის ხარისხს შეაფასებს. ადვოკატები საადვოკატო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად აბარებენ გამოცდებს და მუდმივად გადიან კვალიფიკაციის ასამაღლებელ სემინარებს. გარდა ამისა, იურიდიული მომსახურების ბაზარზე კლიენტი აკეთებს არჩევანს, თუ რომელი ადვოკატის მომსახურება მიიღოს და შესაბამისად წინასწარ უნდა ითვალისწინებს მისი კვალიფიკაციის ხარისხს.”

8.17 მორიგების აქტის კლიენტთან შეუთანხმებლად გაფორმებისა და ადვოკატ თ. მ-ის მიერ საჩივრის ავტორის მეუღლის შეცდომაში შეყვანასთან დაკავშირებით, ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ 2014 წლის 30 ივნისის განჩინებით საქმეზე N3/ბ-218-14 წ იმსჯელა თ. მ-ის კერძო საჩივარზე მორიგების აქტის გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ იმ საფუძვლით, რომ მორიგების აქტის დადება ადვოკატის მიერ არ ყოფილა მასთან შეთანხმებული და ადვოკატმა იმოქმედა მისი ნების საწინააღმდეგოდ. საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ საქმეში N3-17-13 წარმოდგენილია თ. მ-ის 30.04.2014 წლის, 14.05.2014 წლის განცხადებები საჩხერის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის სახელზე, სადაც საჩივრის ავტორი სადაოდ ხდის მორიგების აქტის ნამდვილობას, ითხოვს მის გაუქმებას, საქმის წარმოების განახლებას და ადვოკატ თ. მ-ის მიმართ აყენებს იგივე პრეტენზიებს, რაც ეთიკის კომისიაში წარმოდგენილ საჩივარშია. საჩივრის ავტორის განმარტებით, მან მორიგების თაობაზე 2014 წლის 27 აპრილს შეიტყო. ამავე საქმის მასალებში ასევე წარმოდგენილია თ. და ა. მ-ების 27.05.2014 - ით დათარიღებული განცხადება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის სახელზე. 2014 წლის 09 ივნისს ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ წარმოებაში მიიღო თ. მ-ის კერძო საჩივარი. 2014 წლის 26 ივნისს თ. მ-მა სასამართლოში წარადგინა მტკიცებულებები. დისციპლინურ საქმეში წარმოდგენილია ც. ყ-ის 2014 წლის 26 ივნისის განმარტება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიმართ, სადაც ც. ყ. აღნიშნავს, რომ მორიგების აქტის გაუქმებას მხარს უჭერს ადვოკატი თ. მ-ც. დამატებით წარმოდგენილია თ. მ-ის 30.06.2014-ით დათარიღებული განცხადება, სადაც ითხოვს საქმის განხილვის გაგრძელებას იმ ეტაპიდან, როდესაც მას აღარ შეეძლო ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო საქმის განხილვაში მონაწილეობის მიღება.

8.18 ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ 2014 წლის 30 ივნისს ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა თ. მ-ის საჩივარი და მიიღო გადაწყვეტილება კერძო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე. სასამართლომ განმარტა, რომ ,,თ. მ-ის მიერ თ. მ-ზე და ც. ყ-ზე გაცემული რწმუნებულებებით დასტურდებოდა, რომ საჩივრის ავტორს საქმის მორიგებით დასრულების უფლებამოსილება მინდობილი ჰქონდა ორივე რწმუნებულისათვის, ორივე რწმუნებულება გაცემულია განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია მათ გაუქმებამდე.

სააპელაციო პალატა ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ მხარეებმა ისარგებლეს მისი ავადმყოფობით, ადვოკატმა თ. მ-მა დააშინა მისი მეუღლე ც. ყ. და ისე მოაწერინა ხელი მორიგების აქტზე, რადგან აღნიშნული მოსაზრების დამადასტურებელი მტკიცებულება არ წარმოდგენია....მხოლოდ მითითება იმ გარემობაზე, რომ მორიგების პირობებთან დაკავშირებით სხვა მოსაზრება გააჩნია საჩივრის ავტორს, ვერ გახდება მორიგების კანონსაწინააღმდეგოდ მიჩნევისა და გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი.“

8.19 სადავო გარემოებასთან დაკავშირებით, ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ სასამართლოს მიერ გამოკვლეულ ფაქტობრივ გარემოებებს აქვს პრეიდუციული ძალა ეთიკის კომისიისათვის. ეთიკის კომისიამ 2010 წლის 23 ივლისს სხდომაზე №07/10 მიიღო გადაწყვეტილება, რომ (საკითხი 6. გადაწყვეტილების ,,ე“ ქვეპუნქტი) ,,კომისია რეკომენდაციას უწევს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენებით, კერძო დადგენილებებით, გადაწყვეტილებებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები აღიარებულ იქნეს პრეიუდიციული ძალის მქონედ (სამოქალაქო დავებში კონკრეტული მხარეების მიმართ), თუ არ არსებობს მნიშვნელოვანი გარემოებები, რომლებიც ცნობილი გახდა კომისიისთვის და რომელთა გათვალისწინებით, კომისიას შეუძლია არ ჩათვალოს რომელიმე ასეთი ფაქტი პრეუდიციული ძალის მქონედ.“ საპროცესო კოლეგია ასევე განმარტავს, რომ ეთიკის კომისია უფლებამოსილია იმსჯელოს საჩივრის ავტორის მიერ ადვოკატ თ. მ-ის მიმართ არსებულ პრეტენზიაზე, მორიგების აქტის მასთან შეუთანხმებლობის თაობაზე სადავო საკითხზე სასამართლო გადაწყვეტილების არსებობის მიუხედავად, ვინაიდან ეთიკის კომისია, როგორც ქვაზი სასამართლო იკვლევს ადვოკატ-კლიენტს შორის ურთიერთობის საკითხებს და ადვოკატის პროფესიული მოვალეობებიდან გამომდინარე უფრო მაღალ სტანდარტს ადგენს, ვიდრე რწმუნებულების არსებობისას, ადვოკატის მიერ ნების გამოხატვის საკმარისობაა მორიგების აქტის გაფორმებისათვის. სასამართლო გადაწყვეტილებით ვერ დგინდება შეთანხმებული იყო თუ არა ადვოკატის მოქმედება მარწმუნებელთან. შესაბამისად, ეთიკის კომისია უფლებამოსილია შეაფასოს სადავო გარემოება.

8.20 კლიენტი წარმოადგენს საქმის შედეგით დაინტერესებულ პირს და მნიშვნელოვანია ის ფლობდეს ინფორმაციას მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე. ადვოკატი მუდმივად უნდა უკავშირდებოდეს კლიენტს საქმესთან დაკავშირებით ყოველი ახალი ინფორმაციის მოწოდების მიზნით. ადვოკატმა უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და არ მიიღოს გადაწყვეტილება, რომელიც შესაძლოა ეწინააღმდეგებოდეს კლიენტის ინტერესებს.

8.21 ეთიკის კომისიამ 2010 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე N022/10 აღნიშნა: „ადვოკატმა კლიენტს უნდა მიაწოდოს საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია და კავშირი ჰქონდეს მასთან საქმის წარმოების პროცესში, როდესაც ადვოკატის მიერ საქმესთან დაკავშირებით არსებობს ახალი გარემოებები.“

8.22 ეთიკის კომისიამ დისციპლინურ საქმეზე N057/10 2011 წლის 08 მარტის გადაწყვეტილებით დაადგინა: ,,ადვოკატსა და კლიენტის ურთიერთობა უნდა იყოს კლიენტზე

ორიენტირებული, რაც გულისხმობს, რომ ადვოკატმა და კლიენტმა თანაბრად უნდა გაინაწილონ გადაწყვეტილების მიღების პასუხისმგებლობა და თანაბრად უნდა იყვნენ ჩართულნი კლიენტის საქმესთან დაკავშირებით ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებაში. ყველა სახის გადაწყვეტილება, რომელმაც შესაძლოა მოახდინოს ან არ მოახდინოს კლიენტის ინტერესებზე ზეგავლენა, უნდა იქნეს მოწონებული კლიენტის მიერ.“ ამავე გადაწყვეტილებაში ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ „ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ მიღებულმა გადაწყვეტილებამ შესაძლებელია გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს კლიენტს, რადგან ადვოკატის მიერ კლიენტის სახელით განხორციელებული მოქმედებები მესამე პირების მიერ განიხილება, როგორც კლიენტის ნების გამოხატულება და როგორც წესი, ეჭვქვეშ არ დგება ადვოკატის საიმედოობა და კეთილსინდისიერება“.

8.23 მოცემულ შემთხვევაში, არ დგინდება ადვოკატის მიერ კლიენტისათვის საქმის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მიუწოდებლობა, კლიენტთან შეუთანხმებლად მოდავე მხარესთან მორიგების პირობების განსაზღვრა და მორიგების აქტის კლიენტის ნების საწინააღმდეგოდ გაფორმება შემდეგი გარემოებების გამო: თ. მ-მა 2013 წლის 25 მარტს ადვოკატ თ. მ-ს გაუფორმა რწმუნებულება, რომლის მიხედვით ადვოკატს ენიჭება უფლებამოსილება ,,დაამთავროს დავა მორიგებით.“ ადვოკატისათვის რწმუნებულებით მორიგების უფლებამოსილების მინიჭება არ გულისხმობს მორიგების პირობების ერთპიროვნულად შეფასებისა და შეთანხმების უფლებამოსილებას, თუმცა ეთიკის კომისია ვერ გაიზიარებს თ. მ-ის განმარტებას, რომ 2014 წლის 15 ნოემბერს ადვოკატმა ისარგებლა მისი ავადმყოფობით და იმის ნაცვლად, რომ მოეთხოვა სასამართლო სხდომის გადადება გონივრული ვადით, მის მეუღლეს, ც. ყ-ს მისცა არასწორი განმარტება, თითქოს მეუღლის გარდაცვალების შემთხვევაში ვეღარ მიიღებდა სამკვიდრო წილს და ხელი მოაწერინა მორიგების აქტზე, მიუხედავად იმისა, რომ იცოდა, საჩივრის ავტორი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა მორიგების აქტზე ხელის მოწერას. საჩივრის ავტორის აღნიშნული განმარტება დაუსაბუთებელია. საჩივრის ავტორის - თ. მ-ის, საჩივრის ავტორის წარმომადგენელი, მოწმეების ც. ყ-სა და ნ. ფ.მ-ის განმარტებები სადავო გარემოებასთან დაკავშირებით, ურთიერთგამომრიცხავია. ის გარემოება, რომ თ. მ-ის ცუდად გახდომის შემდეგ ადვოკატმა არ გაითვალისწინა კლიენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა და არ დააყენა შუამდგომლობა საქმის გადადების თაობაზე არ დასტურდება და საქმეში წარმოდგენილი სხდომის ოქმების ელექტრონული ჩანაწერის მიხედვით საპირისპირო დადგინდა, კერძოდ: 2014 წლის 15 იანვარს სასამართლო სხდომაზე გამოცხადდა ადვოკატი თ. მ., მან სასამართლოს ინფორმაცია მიაწოდა მისი კლიენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და დააყენა შუამდგომლობა სხდომის გადადების თაობაზე. სასამართლო სხდომა გადაიდო და მორიგი სხდომა შედგა 22 იანვარს. როგორც სასამართლო სხდომის ოქმის ჩანაწერიდან ირკვევა, სხდომას ესწრება საჩივრის ავტორის მეუღლე - ც. ყ., მას არაერთხელ მისცა მოსამართლემ შენიშვნა სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას სასამართლოსათვის ხელშეშლის გამო. თ. მ-მა ამავე სხდომაზე დააყენა შუამდგომლობა, რომ თ. მ-ის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ც. ყ-ს, მისი ოჯახის წევრს მისცემოდა სხდომაში

მონაწილეობის უფლება, როგორც თ. მ-ის წარმომადგენელს მინიჭებული მინდობილობის საფუძველზე. ადვოკატის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა. 2014 წლის 29 იანვარს სასამართლოს მთავარ სხდომაზე ადვოკატმა წარმოადგინა კლიენტის ინტერესები, ამავე სხდომაზე მოწმის სახით დაიკითხა ი. ყ. მორიგი სასამართლო სხდომა გაიმართა 06 თებერვალს, სადაც თ. მ-ის ინტერესები ადვოკატ თ. მ-სთან ერთად წარმოადგენა მისმა მეუღლემ ც. ყ. 06 თებერვლის სხდომა (დაწყების დრო 12:02:27) მთლიანად დაეთმო მორიგების პირობებზე შეთანხმებას, რომელშიც მონაწილეობდა ც. ყ. სასამართლოს სხდომის ოქმის ჩანაწერში და მორიგების აქტის მიხედვით დადგინდა, რომ 2014 წლის 06 თებერვალს მორიგების აქტის პირობების განხილვას სასამართლო სხდომაზე, ასევე მორიგების აქტის შედგენას წარმომადგენლის უფლებამოსილებით ესწრებოდა თ. მ-ის მეუღლე, ც. ყ., ეს უკანასკნელი ასევე ესწრებოდა 2014 წლის 22 იანვრის სასამართლო სხდომას. 2014 წლის 06 თებერვალს სასამართლომ სხდომა დაუთმო მხარეთა მორიგების პირობების განხილვას. ც. ყ-მ, როგორც თ. მ-ის წარმომადგენელმა, მორიგებასთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია დაადასტურა. სასამართლომ კანონით დადგენილი წესით დავის მორიგებით დასრულების სამართლებრივი შედეგები, შესაბამისად, 2014 წლის 06 თებერვლის სასამართლო განჩინებით მხარეთა შორის დამტკიცდა მორიგება.

8.24 როგორც თ. მ., ასევე თ. მ. განმარტავენ, რომ თ. მ-ის ჯანმრთელობის მდგომარეობის მიუხედავად, მას შეეძლო საღად აზროვნება და გადაწყვეტილებების მიღება. ადვოკატმა თ. მ-მა წარმოადგინა მისი პირადი მობილური სატელეფონო დეტალური ამონაწერი, რომლის თანახმად თ. მ-ის პირადი ტელეფონიდან ადვოკატის ტელეფონზე განხორციელებულია სატელეფონო ზარები შემდეგი თანმიმდევრობით: 2014/02/02 10:50:19 67.7; 2014/02/04 15:27:57 3.3; 2014/02/04 15:38:21 2.1; უშუალოდ 06 თებერვლის სხდომის დაწყებამდე - 2014/02/06 11:36:15 23.2; მორიგების აქტის ჩაბარების შემდეგ - 2014/02/14 10:44:09 53.5.

8.25 ადვოკატის მიერ წარმოდგენილი სატელეფონო ამონაწერებით დასტურდება, რომ თ. მ-სთვის ცნობილი იყო მორიგების შესაძლებლობა, იგი მორიგებამდეც და მორიგების დღესაც, სხდომის დაწყებამდე ესაუბრება ადვოკატს. თ. მ-მა იცოდა, რომ მისი საქმის განხილვა მიმდინარეობდა, ასევე იცოდა, რომ ადვოკატთან ერთად ც. ყ. ესწრებოდა სხდომებს, ხოლო ბოლო სხდომაში მონაწილეობდა, როგორც მისი წარმომადგენელი.

8.26 ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ საქმეში წარმოდგენილი მასალებისა და მხარეთა ახსნა-განმარტებების საფუძველზე, არ დასტურდება ადვოკატ თ. მ-ის მიერ კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევა. ადვოკატმა საჩივრის ავტორს მიაწოდა ინფორმაცია მორიგების პირობების შესახებ და მორიგების აქტის პირობების მიმართ კლიენტის პრეტენზიის გაჩენა რამდენიმე კვირის შემდეგ გამოწვეული არ იყო ადვოკატის ბრალით. საპროცესო კოლეგია ვერ გაიზიარებს ც. ყ-ის განმარტებას, რომ მისთვის გაუგებარია, რატომ დააყენა ადვოკატმა შუამდგომლობა მისი სხდომაზე დაშვებისა და საჩივრის ავტორის წარმომადგენლის სახით მონაწილეობის თაობაზე, ვინაიდან, როგორც სხდომის ოქმების ჩანაწერებიდან ჩანს, ც. ყ., როგორც თ. მ-ის ოჯახის წევრი აქტიურად იყო ჩართული სასამართლო პროცესის მიმდინარეობის დროს, სხდომიდან მის გაძევებამდე და ასევე, მონაწილეობდა 22 იანვრისა და 06 თებერვალს საქმის განხილვაში.

8.27 მხარეთა მორიგების შემდეგ ივლისი - აგვისტოს თვეში საჩივრის ავტორი უკავშირდებოდა ადვოკატს მის მიერ სააპელაციო სასამართლოში წარდგენილ კერძო საჩივართან დაკავშირებით: 03.07.2014 12:12:22 1; 03.07.2014 12:18:09 1; 03.07.2014 12:23:30 1; 03.07.2014 12:33:05 1; 03.07.2014 12:48:38 1; 03.07.2014 13:04:49 1; 03.07.2014 13:13:59 1; 03.07.2014 13:24:28 1; 03.07.2014 15:11:21 65; 04.07.2014 14:36:32 405; 07.07.2014 21:27:25 3; 10.07.2014 13:21:11 55; 11.07.2014 10:51:12 1; 11.07.2014 10:52:32 50; 11.07.2014 10:58:31 125; 11.07.2014 11:04:08 22; 14.07.2014 13:12:53 187; 15.07.2014 16:55:21 57; 15.07.2014 17:23:36 82; 16.07.2014 09:50:57 9; 17.07.2014 09:46:51 63; 17.07.2014 11:04:43 19; 18.07.2014 11:46:22 339; 21.07.2014 10:01:32 71; 21.07.2014 18:24:37 1; 21.07.2014 19:35:47 1; 21.07.2014 20:52:16 1;22.07.2014 09:35:21 8; 22.07.2014 09:56:37 31; 22.07.2014 11:53:30 149; 22.07.2014 13:36:49 208; 23.07.2014 10:09:36 4; 25.07.2014 17:34:27 1; 25.07.2014 17:42:27 427; 27.07.2014 10:42:05 1; 27.07.2014 10:43:54 1; 27.07.2014 10:50:46 1; 27.07.2014 13:07:15 1; 27.07.2014 19:54:59 1; 27.07.2014 20:19:49 1; 27.07.2014 20:48:28 1; 28.07.2014 08:43:17 1; 28.07.2014 09:28:10 1; 28.07.2014 09:38:13 1; 28.07.2014 09:45:00 1; 29.07.2014 08:15:00 1; 29.07.2014 08:56:50 1; 29.07.2014 17:22:28 1; 29.07.2014 18:01:54 1; 29.07.2014 18:06:55 1; 29.07.2014 18:11:26 1; 01.08.2014 08:48:14 1; 01.08.2014 16:33:37 1; 01.08.2014 16:34:18 1; 05.08.2014 09:18:05 1; 05.08.2014 09:33:13 4; 05.08.2014 15:27:49 344.

8.28 ეთიკის კომისია საჩივრის ავტორის პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატმა მორიგების შესახებ არ შეატყობინა პირველი რიგის მემკვიდრეს, საჩივრის ავტორის მესამე ძმის მეუღლეს ნ. ფ.მ-ს და მის შვილს, განმარტავს, რომ ადვოკატს აღნიშნული ვალდებულება არ გააჩნდა გამომდინარე იქიდან, რომ ნ. ფ. მ. და მისი შვილი არ წარმოადგენდნენ თანამოსარჩელეებს ან მესამე პირს ამავე ადმინისტრაციულ საქმეზე. სასამართლომ 2014 წლის 06 თებერვლის სხდომაზე გამოქვეყნა ნ. ფ. .მ-ის განცხადება, საქმეში დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მოსარჩელის მხარეზე მესამე პირად ჩართვის თაობაზე, ვინაიდან იგი, როგორც მეუღლის მემკვიდრე, იყო მისი კანონიერი წარმომადგენელი. აღნიშნული შინაარსის შუამდგომლობას დააყენა ადვოკატიმა თ. მ-მაც, მაგრამ სასამართლომ არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა. შესაბამისად, არ დასტურდება საჩივრის ავტორისა და მოწმის მიერ მითითებული გარემოება იმის შესახებ, რომ ნ. ფ. მ. წარმოადგენდა თანამოსარჩელეს.

8.29 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატი თ. მ. თ. მ-ს საადვოკატო მომსახურებას უწევდა ადმინისტრაციულ საქმეზე, ხოლო სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ადვოკატთა ერთიანი სიის მონაცემების მიხედვით მას ასოციაციის მიერ საქმიანობის უფლებამოსილება მინიჭებული აქვს სისხლის სამართლის სპეციალიზაციით /სიითი № /.

8.30 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილებით დისციპლინურ საქმეზე №017/11 დაადგინა: ,,კლიენტის ინტერესების კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად დაცვის ვალდებულების დარღვევას წარმოადგენს, თუ ადვოკატი საადვოკატო საქმიანობას არ ეწევა შესაბამის დარგში. ‘‘ადვოკატთა შესახებ’’ საქართველოს კანონის მე-10 და მე-11 მუხლების მიხედვით, განსაზღვრულია ადვოკატთა კვალიფიკაციის ძირითადი მოთხოვნები, რომელსაც ადვოკატი უნდა აკმაყოფილებდეს და აღნიშნული კანონის მე-11 მუხლის მე-8 პუნქტის მიხედვით ,,ადვოკატს, რომელსაც ტესტირება გავლილი აქვს სპეციალიზაციის

მიხედვით, საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლება ეძლევა შესაბამის დარგში...“.

8.31 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 26 აგვისტოს №030/11 გადაწყვეტილებით ,,საქართველოს კანონმდებლობაზე დაყრდნობით მიიჩნია, რომ დაცვის უფლების განხორციელების არაკვალიფიციურობაზე მიუთითებს, როდესაც ადვოკატი საქმიანობას არ ახორციელებს ადვოკატთა ასოციაციის მიერ გაცემული მოწმობის შესაბამისად, განსაზღვრული მიმართულებით. ეთიკის კომისია, მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ ადვოკატთა ასოციაცია საქმიანობის განხორციელების უფლებას აძლევს ადვოკატს შესაბამის დარგში, წარმოადგინოს კლიენტის ინტერესები შესაბამისი მიმართულებით, შესაბამისად, რისკი იმისა, რომ ადვოკატი არაკვალიფიციურად დაიცავს კლიენტის უფლებებს და ზიანს მიაყენებს კლიენტის ინტერესებს, ნაკლებია.“

8.32 მოცემულ შემთხვევაში ადვოკატი თ. მ. კლიენტს ადმინისტრაციულ საქმეზე მომსახურებას უწევდა 2013 წლის 23 მარტის მინდობილობისა და 2014 წლის 02 მაისის წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე. საქმის მასალებიდან, კერძოდ, ადვოკატის მიერ შედგენილი საპროცესო დოკუმენტებიდან დგინდება, რომ თ. მ. საქმეს აწარმოებდა, როგორც წარმომადგენელი და არა როგორც ადვოკატი. სარჩელში შევსებული არ არის ადვოკატისათვის დათმობილი ველი, სადაც ფიქსირდება ადვოკატთა ერთიან რეესტრში ადვოკატის რეგისტრაციის რიგითი ნომერი და სპეციალიზაცია; ხელშეკრულების მიხედვით მომსახურების საგანს წარმოადგენდა საჩივრის ავტორისათვის სამართლებრივი მომსახურების გაწევა. ასევე, შუამდგომლობებში ადვოკატი მითითებულია წარმომადგენლად. საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულება ეთიკის კომისიის დასაბუთებული ვარაუდისათვის საკმარისი საფუძვლის შესაქმნელად, რომ თ. მ თ. მ-ს იურიდიულ მომსახურებას უწევდა არა როგორც წარმომადგენელი, არამედ როგორც ადვოკატი. შესაბამისად, ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატ თ. მ-ის მიერ დარღვეული არ არის ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი ადვოკატის მიერ სპეციალიზაციის მიხედვით მისთვის მინიჭებულ სფეროში საადვოკატო მომსახურების გაწევის საფუძვლით.

8.33 ეთიკის კომისია საჩივრის ავტორის მოთხოვნაზე, რომ ადვოკატმა აუნაზღაუროს მორალური და მატერიალური ზიანი, რაც ადვოკატის მიერ მისთვის არასასურველი მორიგების დადებით მიადგა, აღნიშნავს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად „ეთიკის კომისია ამოწმებს ადვოკატზე შემოსულ ინფორმაციას, სწავლობს მის საფუძვლიანობას და წყვეტს ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს“. შესაბამისად, ადვოკატის მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე მსჯელობა ეთიკის კომისიის კომპეტენციაში არ შედის, მხარეს შეუძლია ამის თაობაზე, წარმომადგენელთან არსებული ხელშეკრულებისა და მინიჭებული მინდობილობის საფუძველზე, მიმართოს სასამართლოს და სამოქალაქო დავა აწარმოოს ადვოკატის წინააღმდეგ.

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-33-ე მუხლით, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილებით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-19 მუხლით, მე-20 მუხლით, 27-ე მუხლით, 28-ე მუხლით, 30-ე მუხლის მე-2 პუნქტით, 31-ე მუხლით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №059/14 ადვოკატ თ. მ-ის მიმართ /სიითი №/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.

2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეს მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ხათუნა გრიგალაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე გასიტაშვილი/

კოლეგიის წევრი: /სანდრო ჯორბენაძე/